

ნაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება ნაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. ნაკითხულის გააზრების ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. ანალიტიკური წერის ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.
თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



წაკითხულის გააზრება

II ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი №1

I ისტორიის ობიექტურად წარმოჩენა მეცნიერთა მიერ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად არის აღიარებული. ამ საკითხს უკავშირდება საზოგადოების მეხსიერებაში დაღეპილი წარსულის, ანუ კოლექტიური მეხსიერების მეცნიერული კვლევა, რომელიც სათავეს XX საუკუნის 20-იან წლებში იღებს და ასოცირებულია ფრანგი სოციოლოგის, **მორის ჰალბვაქსის** სახელთან.

II ჰალბვაქსის აზრით, კოლექტიური მეხსიერება ჯგუფის მიერ გაზიარებული მეხსიერებაა, რომელიც ადამიანთა სოციალიზაციის პროცესში იბადება და მას უპირატესად სოციალური ბუნება აქვს. ჩვენი წარმოდგენები და ცოდნა სამყაროში არსებული ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, ჩვენი ეთიკური თუ ესთეტიკური ღირებულებები, დროისა და სივრცის აღქმა თუ აზროვნების სტილი ყალიბდება სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის საფუძველზე. ჩვენ როდი გვამახსოვრდება ყველაფერი ის, რასაც შევიგრძნობთ. კოლექტიური მეხსიერება სელექციურია და, ჰალბვაქსის აზრით, განსაზღვრულია მეხსიერების სოციალური ჩარჩოებით, ჩვენი სოციალური გარემოცვით. ჩვენ გვამახსოვრდება მხოლოდ ის, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი სოციუმისათვის, შესაბამისად, მეხსიერების ეს ჩარჩოები განაპირობებს ხდომილებათა უწყვეტი ჯაჭვიდან გარკვეული მოვლენების გამოყოფას და მათ დამახსოვრებას.

III მეხსიერების სოციალური ბუნება განსაზღვრავს არა მხოლოდ დამახსოვრების, არამედ ასევე დავიწყების ფენომენსაც. ყველაფერი ის, რაც არ არის ღირებული ჩვენი სოციუმისათვის და რაც არ თავსდება ჩვენი ჯგუფის „სოციალურ ჩარჩოებში“, გვავიწყდება, უფრო ხშირად კი, უბრალოდ ჩვენი ყურადღების მიღმა რჩება. დამახსოვრებისა და დავიწყების ფენომენთა ამგვარი გააზრებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია არსებობდეს ობიექტური ისტორია, რადგან ისტორიაც არის დამახსოვრებული ამბები, რომელთა ნაწილი, გარკვეული მიზეზებით, შემოგვრჩა მოგონებებში ან დავივიწყეთ.

IV კოლექტიური მეხსიერების პარალელურად ჰალბვაქსი მსჯელობს ინდივიდუალურ მეხსიერებაზე და მასაც სოციალურ ფენომენად მიიჩნევს. კოლექტიური მეხსიერება მოიცავს ინდივიდუალურს, მაგრამ არ ერწყმის მას. მეორე მხრივ, ინდივიდუალური მეხსიერება ხშირად ეყრდნობა კოლექტიურს. ჰალბვაქსი ინდივიდუალური მეხსიერების სფეროდ ძირითადად პირად შთაბეჭდილებებს მიიჩნევს.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

ინდივიდუალური მეხსიერების შინაარსები არ არის შემთხვევითი, ის დამოკიდებულია კომუნიკაციურ პროცესებზე და სოციუმში დამკვიდრებულ წარმოდგენებსა და ღირებულებებზე. ჰალბვაქსის მიხედვით, თითოეული ჩვენგანი ერთდროულად რამდენიმე სოციუმის, რამდენიმე ჯგუფის წევრია, იქნება ეს ისეთი ვრცელი თუ ვიწრო ერთობები, როგორებიცაა: ერი, რელიგიური ერთობა, თემი, პოლიტიკური პარტია, ან თუნდაც სპორტული გუნდის გულშემატკივართა ჯგუფი, ოჯახი, მეგობრების წრე, სამეზობლო და ა. შ. რომელიმე ასეთი ჯგუფის წევრობა ნიშნავს ამ ჯგუფისათვის სპეციფიკური და რელევანტური მოგონებების გაზიარებას. სწორედ ჯგუფის სოციალური ჩარჩო განაპირობებს იმას, თუ რა არის ამ სოციუმისათვის რელევანტური და ინდივიდსაც ამახსოვრდება სწორედ ის, რაც მნიშვნელოვანია სათანადო ჯგუფის წევრებისათვის. ჰალბვაქსის მიხედვით, „ინდივიდი ერთდროულად მრავალი ჯგუფის წევრია, ის მრავალი სოციალური ჯგუფის აზროვნების ყაიდის თანამონაწილეა, მისი მზერა მრავალ კოლექტიურ დროს ჭვრეტს“.

V ინდივიდი არასოდეს არის მარტო. ის მუდამ არის რომელიმე კოლექტივის წევრი და მისი მეხსიერებაც, მისი მოგონებები სწორედ ამ კოლექტივისათვის რელევანტური ინფორმაციით არის განპირობებული. ადამიანი, რომელიც გამცილებლის გარეშე სახლში მიდის, გარკვეული დროის განმავლობაში უეჭველად არის, როგორც იტყვიან ხოლმე, მარტო, მაგრამ ეს სიმარტოვე მოჩვენებითია, ვინაიდან ამ დროსაც მისი აზროვნება და მოქმედება განპირობებულია მისი, როგორც სოციალური არსების, თვისებებით; ის არცერთი წამით არ წყვეტს რომელიმე ჯგუფის წევრობას.

VI კოლექტიური მეხსიერების ფარგლებში ჰალბვაქსი მეხსიერების სხვადასხვა ფორმას გამოყოფს, მათ შორის არის ე. წ. „ოჯახის მეხსიერება“, რომელიც თავისი არსით ერთი ოჯახის ფარგლებში, ანუ სამ-ოთხ თაობას შორის გაზიარებული მეხსიერებაა. მეხსიერების ამ ტიპის მქონენი ერთი ოჯახის წევრები არიან და ის მოგონებების ცოცხალ ურთიერთგაცვლას ეფუძნება. „ოჯახის მეხსიერება“ ოჯახის წევრების კომუნიკაციის ფარგლებში ყალიბდება, მაგალითად, ოჯახის წევრთა საერთო ვახშმებისა თუ სხვა საერთო ღონისძიებების დროს. ამ ტიპის მეხსიერების ზედა ზღვარი ოჯახის უხუცესი წევრის მოგონებებს არ სცდება. მეხსიერების ეს ფორმა, რომელიც ლამის „თვითმხილველთა“ ჩვენებებს ეფუძნება, მიდრეკილია გადაჭარბებისა და შელამაზებისაკენ, რასაც ჰალბვაქსი „კომუნალურ ჰეროიზაციას“ უწოდებს.

1. ტექსტის მიხედვით, რა არის ჰალბვაქსის მთავარი სათქმელი?

- (ა) კოლექტიური მეხსიერების მთავარი მახასიათებელი წარსული მოვლენების მიუკერძოებელი და მოწესრიგებული წარმოჩენაა.
- (ბ) პიროვნება სოციალური არსებაა და მის ნებისმიერ ქმედებას განსაზღვრავს ის სოციალური ჯგუფი, რომლის წევრიც ის არის.
- (გ) როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური მეხსიერება სელექციურია და სოციალური ჩარჩოებით არის განპირობებული.
- (დ) კოლექტიური და ინდივიდუალური მეხსიერება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.
- (ე) სოციალური გარემოცვა განაპირობებს ადამიანის მიერ ამა თუ იმ მოვლენისა თუ ფაქტის დამახსოვრებას თუ დავიწყებას.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

2. ინდივიდი ერთდროულად შეიძლება იყოს ქართველი, თბილისელი, სოლოლაკელი, თბილისის „დინამოს“ გულშემატკივარი და ა. შ. ასეთი ჯგუფების შეხამება იოლი ჩანს, რადგან ეს ჯგუფები თითქოს ავსებენ ერთმანეთს.

რომელ აზრს შეავსებდა ეს მაგალითი?

- (ა) I
- (ბ) II
- (გ) III
- (დ) IV
- (ე) V

3. რობინზონ კრუზოს არ აქვს გაწყვეტილი კავშირი თავის სოციალურ ჩარჩოსთან, უკაცრიელ კუნძულზეც კი ის რჩება ინგლისელად, იორკელად, ქრისტიანად და ა. შ.

ტექსტის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ აზრს ეხმაურება ეს მაგალითი?

- I. ადამიანს მარტოობაში თავის სოციალურ ჩარჩოსთან კავშირის შენარჩუნება შესაძლოა მძიმე გამოწვევად ექცეს.
- II. ადამიანი ნებისმიერ პირობებში რჩება ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წევრად.
- III. სრული განმარტობაც კი არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი არ არის რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრი.
- IV. ადამიანის მიერ ინდივიდუალური მეხსიერების შენარჩუნება მარტოობაში ძალიან რთულია.

- (ა) მხოლოდ I-ს.
- (ბ) მხოლოდ I-სა და II-ს.
- (გ) მხოლოდ II-სა და III-ს.
- (დ) მხოლოდ I-ს, II-სა და IV-ს.
- (ე) მხოლოდ III-სა და IV-ს.

4. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) კოლექტიური მეხსიერების კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ისტორიის შესწავლაში, რადგან ის განსაკუთრებული ობიექტურობით წარმოაჩენს ისტორიულ რეალობას.
- (ბ) მეხსიერების ფორმათაგან შედარებით ობიექტურია ოჯახის მეხსიერება, რადგან ის ერთი ოჯახის ფარგლებში რამდენიმე თაობის მოგონებათა ცოცხალ ურთიერთგაცვლას ეფუძნება.
- (გ) კოლექტიურ მეხსიერებას სოციალური ჩარჩოები განსაზღვრავს, ხოლო ინდივიდუალურს კავშირი არ აქვს სოციალური ჯგუფების მეხსიერებასთან.
- (დ) ადამიანის აზროვნება და ეთიკური თუ ესთეტიკური ღირებულებები უმთავრესად ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა ფონზე ყალიბდება.
- (ე) ადამიანის ინდივიდუალურ მეხსიერებას საფუძვლად უდევს იმ სოციალური ჯგუფისა თუ ჯგუფების მეხსიერება, რომლის წევრიც ის არის.

5. ჩამოთვლილთაგან რომელი დასტურდება ტექსტში?

- (ა) ე. წ. ოჯახის მეხსიერება ერთი და იმავე სოციალური ჯგუფის ფარგლებში არსებულ ოჯახებს შორის მოგონებების გაზიარების შედეგად ყალიბდება.
- (ბ) სოციალური ჩარჩო სოციალური ჯგუფის ცალკეული წევრისათვის გარკვეულ როლს განსაზღვრავს.
- (გ) კოლექტიურ მეხსიერებაში ფაქტები და მოვლენები გარკვეული პერსპექტივიდან არის ასახული, შესაბამისად, ბოლომდე ობიექტური არ არის.
- (დ) კოლექტიური მეხსიერების საფუძველზე არაერთი ისტორიული მოვლენისა თუ ფაქტის ობიექტური რეკონსტრუქციაა შესაძლებელი.
- (ე) ზოგჯერ ის, რაც ღირებულია სოციუმისათვის, ამ სოციუმის წარმომადგენელთა ყურადღების მიღმა რჩება.

6. რა თანამიმდევრობით არის განხილული ტექსტში შემდეგი საკითხები:

A. მეხსიერების სელექციურობა.

B. ინდივიდუალური მეხსიერება.

C. ოჯახის სხვადასხვა თაობას შორის მოგონებების გაცვლა.

D. კოლექტიური მეხსიერება და მისი სოციალური ბუნება.

E. ინდივიდი, როგორც სოციალური ჯგუფ(ებ)ის წევრი.

(ა) A, D, E, B, C.

(ბ) E, A, D, C, B.

(გ) D, B, E, A, C.

(დ) D, A, B, E, C.

(ე) B, A, E, C, D.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

7. ტექსტის ბოლო აბზაცში:

- (ა) განხილულია ტექსტის ძირითად თემასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი.
- (ბ) გავრცობილია წინა აბზაცში მოყვანილი მსჯელობა.
- (გ) შეჯამებულია წინა აბზაცში წარმოდგენილი მსჯელობა.
- (დ) წარმოდგენილია დასკვნა, რომელიც ემყარება ტექსტში განხილულ მაგალითებს.
- (ე) კრიტიკულად არის შეფასებული ტექსტში განხილული ძირითადი საკითხი.

ტექსტი №2

I ლიტერატურულ ტექსტებზე მუშაობისას მთარგმნელის ამოცანაა, თარგმანის ენაზე ზედმიწევნით, ზუსტად გადმოიტანოს ორიგინალის როგორც ფორმა, ისე შინაარსი. როგორც წესი, მთარგმნელი ვერ ახერხებს ერთდროულად და ერთნაირი წარმატებით ორივე მიზნის მიღწევას და ამიტომ მას არჩევნის გაკეთება უწევს: იზრუნოს ორიგინალის ფორმის შენარჩუნებაზე, ანუ ტექსტი „სიტყვასიტყვით“ თარგმნოს, თუ ყურადღება გაამახვილოს ნაწარმოების არსის გადმოცემაზე. თარგმნის პირველი მეთოდი გულისხმობს, რომ მთარგმნელი შეძლებისდაგვარად ორიგინალის ფორმის შენარჩუნებით ცდილობს მკითხველს მიაწოდოს ის ინფორმაცია, რომელიც უცხოურ ენაზე დაწერილი ტექსტის კითხვისას მიიღო. ასეთ დროს მკითხველისათვის ბევრი რამ შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს და მთარგმნელი იძულებული გახდეს განმარტოს „რთული ადგილები“. მეორე შემთხვევაში მთარგმნელი შორდება დედანს და ისეთ ტექსტს ქმნის, თითქოს ის იმთავითვე სამიზნე, ანუ თარგმანის ენაზე იყოს დაწერილი, ის ქმნის ორიგინალის შესაბამის ანალოგს სამიზნე ენაზე. პირველს სიტყვასიტყვითი, „**ფორმალური ეკვივალენტის ტიპის**“ თარგმანი ეწოდება. მეორეს კი – თავისუფალი, ადაპტირებული ან „**დინამიკური ეკვივალენტის ტიპის**“ თარგმანი, რომლის დროსაც მთარგმნელს ხშირად უწევს ორიგინალში მოცემული ელემენტების (მაგალითად, შედარების, მეტაფორის და ა. შ.) შესატყვისი ანალოგების მოძიება ან შექმნა თარგმანის ენაზე.

II ლინგვისტიკის თვალთახედვიდან ლიტერატურული ტექსტის „სიტყვასიტყვით“ თარგმნა პრაქტიკულად შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ენაში უაღრესად მცირეა ისეთი სიტყვების რაოდენობა, რომლებსაც **ცალსახა ეკვივალენტები** შეიძლება ეწოდოს. ასეთებად მიჩნეულია, ძირითადად, საკუთარი სახელები, სამეცნიერო ტერმინთა ნაწილი, ნაცვალსახელთა ნაწილი, ასევე საყოველთაოდ გავრცელებულ სიტყვათა ჯგუფები, როგორებიცაა თვეების დასახელებები, კვირის დღეები, რიცხვები და სხვ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი სიტყვის აბსოლუტური მნიშვნელობა არ უდრის მეორე ენის იმავე სიტყვის აბსოლუტურ მნიშვნელობას.

III სხვადასხვა ენა ობიექტურად მოცემულ რეალობას სხვადასხვაგვარად ანაწევრებს. გერმანელი მეცნიერი კოლერი სემანტიკის დონეზე სხვადასხვა ენაში სიტყვათა შესაბამისობის შესაძლო ეკვივალენტების რამდენიმე ტიპს აღწერს:

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

1. ერთი-ერთზე შესაბამისობა, იგივე ცალსახა ეკვივალენტი, რომელთა თარგმნა თითქმის არ არის დამოკიდებული კონტექსტზე;
2. ერთი-მრავალთან შესაბამისობა – მათი თარგმნა ხშირად სწორედ კონტექსტზეა დამოკიდებული (მაგალითად, Tante [გერ.] – დეიდა, მამიდა, ბიცოლა, haben [გერ.] – ქონა, ყოლა და ა.შ.);
3. მრავალი-ერთთან შესაბამისობა – წინა ტიპის შებრუნებული ვარიანტი (მაგალითად, spela, leka [შვედ.] – თამაში);
4. ერთი-ნულთან შესაბამისობა, რომელსაც სხვა ენაზე შესატყვისი არ აქვს (მაგალითად, ქართულისათვის Schadenfreude [გერ.] – სხვისთვის ზიანის მიყენებით გამოწვეული სიამოვნება).

IV თარგმნას ენებს შორის არსებული სტრუქტურული სხვაობებიც ართულებს. მაგალითად, წინადადების – „მე ვიქირავე მოსამსახურე“ – თარგმნა ისეთ ენაზე, რომელსაც სქესის კატეგორია აქვს (მაგალითად, რუსული), მთარგმნელისაგან მოითხოვს სქესის დაკონკრეტებას, თუმცა დედანში არ ჩანს, დასაქირავებელი პირი ქალია თუ კაცი. ამ პრობლემის გადაჭრის შესახებ გადაწყვეტილება მთარგმნელმა უნდა მიიღოს.

V მთარგმნელმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, თუ რა განცდებს იწვევს დედანი, რაც კიდევ უფრო რთულად გადასაჭრელ ამოცანას წარმოადგენს, რადგან ნაწარმოებით წამოჭრილი განცდები ინდივიდუალურია და არ არსებობს მათი ობიექტური საზომი. ამდენად, მთარგმნელს ერთდროულად უწევს შინაარსობრივი და განცდითი ასპექტების გათვალისწინება, რაც დიდ სირთულეს წარმოადგენს.

VI სიტყვები ენობრივი სისტემის ნაწილია. ერთი სიტყვის ხსენება ააქტიურებს მასთან შინაარსობრივად ან ჟღერადობით დაკავშირებულ სიტყვებს. თუკი თარგმნისას შინაარსობრივი კავშირების გადმოცემა მეტ-ნაკლებად მაინც შესაძლებელია, იდენტური ჟღერადობის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა მთარგმნელმა შეიძლება ისე ოსტატურად გამოიყენოს მშობლიურ ენაში სიტყვებს შორის არსებული ბგერითი კავშირები, რომ ორიგინალის მსგავსი ეფექტი შექმნას.

VII მთარგმნელის ამოცანაა ორიგინალის როგორც შინაარსის, ისე მისი ჟღერადობისა თუ განწყობის სხვა ენობრივ ქსოვილში გადმოტანა. თარგმანმა ისეთივე აზრები და განცდები უნდა აღძრას მკითხველში, როგორსაც ორიგინალი აღძრავს. ამ მიზნის მიღწევა ძნელია ან შეუძლებელიც კი სიტყვასიტყვითი თარგმანის პირობებში. სწორედ ამიტომ, ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნისას, მთარგმნელი უფრო მეტად თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდისაკენ უნდა გადაიხაროს და შემოქმედებითად მიუდგეს თარგმანს.

8. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) გაგვაცნოს მთარგმნელის მიზნები და ამოცანები ლიტერატურული თარგმანის შესრულებისას.
- (ბ) ლიტერატურული თარგმანის სირთულეების მიმოხილვის ფონზე წარმოაჩინოს თავისუფალი მეთოდის უპირატესობა სიტყვასიტყვით მეთოდთან შედარებით.
- (გ) დაასაბუთოს, რომ ლინგვისტური სირთულეების გამო ძალიან რთულია ლიტერატურული თარგმანის შექმნა.
- (დ) დაასაბუთოს, რომ ლიტერატურულ თარგმანში შეუძლებელია ორიგინალის ენის ჟღერადობის შენარჩუნება.
- (ე) გაგვაცნოს ლიტერატურული თარგმანის ფორმალური ეკვივალენტისა და დინამიკური ეკვივალენტის ტიპები.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

9. ციცერონი ბერძნული მჭევრმეტყველების ნიმუშების საკუთარი ლათინური თარგმანების შესახებ აღნიშნავდა:
„მე ვთარგმნე არა როგორც მთარგმნელმა, არამედ როგორც ორატორმა. შევინარჩუნე აზრი და აზრთა წყობა... სიტყვების შერჩევისას ვხელმძღვანელობდი ჩვენი ენის მოთხოვნებით. ვცდილობდი, აღმედგინა მთლიანი აზრი და სიტყვების ძალა“.

ტექსტის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ციცერონმა:

- (ა) თარგმანების შესრულებისას ყურადღება გაამახვილა ბერძნული ენის სტრუქტურულ თავისებურებებზე.
- (ბ) თარგმანების შესრულებისას თავისუფალ მთარგმნელობით მეთოდთან შედარებით უპირატესობა სიტყვასიტყვითს მიანიჭა.
- (გ) ბერძნული მჭევრმეტყველების ნიმუშების თარგმნისას გამოიყენა თარგმნის დინამიკური ეკვივალენტის ტიპი.
- (დ) თარგმნისას გაითვალისწინა ბერძნული ენის უპირატესობა მის მშობლიურ ლათინურ ენასთან შედარებით.
- (ე) როგორც ორატორმა, მთარგმნელის წინაშე დასმულ ამოცანებს თავი ვერ გაართვა.

10. კოლერის მიერ გამოყოფილი პოტენციური ეკვივალენტების ტიპებიდან რომლის მაგალითია ინგლისურ ენაში ეკვივალენტის არმქონე ქართული სიტყვა „მრავალჯამიერი“?

- (ა) ერთი-ერთზე შესაბამისობის
- (ბ) ერთი-მრავალთან შესაბამისობის
- (გ) მრავალი-ერთთან შესაბამისობის
- (დ) ერთი-ნულთან შესაბამისობის
- (ე) ცალსახა ეკვივალენტის

11. ტექსტის მიხედვით, რომელი მოსაზრების საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითი?

საკუთარი სახელები – *იამზე, ვეფხია* – ქართულენოვან და უცხოენოვან მკითხველში სხვადასხვაგვარ ასოციაციას აღძრავს.

- (ა) „ცალსახა ეკვივალენტების“ შემთხვევაშიც კი სიტყვის აბსოლუტური მნიშვნელობა არ უდრის მეორე ენის იმავე სიტყვის აბსოლუტურ მნიშვნელობას.
- (ბ) „ცალსახა ეკვივალენტების“ შემთხვევაში სიტყვის აბსოლუტური მნიშვნელობა სრულად შეესაბამება მეორე ენის იმავე სიტყვის მნიშვნელობას.
- (გ) ორივე საკუთარი სახელი „ერთი-მრავალთან შესაბამისობის“ ნიმუშია, რომელთა თარგმნა კონტექსტზეა დამოკიდებული.
- (დ) ორივე საკუთარი სახელი „ერთი-ერთზე შესაბამისობის“ ნიმუშია, რომელთა თარგმნა არ არის დამოკიდებული კონტექსტზე.
- (ე) ლიტერატურულ თარგმანში საკუთარი სახელები სამიზნე ენაზე არ უნდა ითარგმნოს.

12. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) თავისუფალ თარგმანში ორიგინალის ენის ჟღერადობის შენარჩუნება შესაძლებელია, სიტყვათა შინაარსობრივი კავშირების გადმოცემა კი – შეუძლებელი.
- (ბ) ორიგინალში შექმნილი განწყობის ასახვისათვის ლიტერატურულ თარგმანში უმჯობესია თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდის გამოყენება.
- (გ) ლიტერატურული თარგმანისათვის ძირითადი დაბრკოლება „ცალსახა ეკვივალენტების“ არარსებობაა.
- (დ) სიტყვასიტყვითი თარგმანის უპირატესობაა, რომ მთარგმნელი მკითხველს გაუგებარ პასაჟებს კომენტარებით განუმარტავს.
- (ე) საუკეთესო მთარგმნელისთვისაც კი შეუძლებელია ორიგინალის მსგავსი ეფექტის მიღწევა თარგმანში.

13. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მართებული?

- (ა) მთარგმნელს თარგმანის შესრულებისას ორიგინალში წარმოდგენილი კონტექსტის გათვალისწინება უწევს.
- (ბ) თარგმანზე გავლენას ახდენს ენებს შორის არსებული სტრუქტურული სხვაობები.
- (გ) სხვადასხვა ენა ობიექტურად მოცემულ რეალობას სხვადასხვაგვარად ანაწევრებს.
- (დ) ზოგიერთი სიტყვის თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე ძნელია იმიტომ, რომ მისი შესაბამისი სიტყვა თარგმანის ენაში არ არსებობს.
- (ე) ლიტერატურული ტექსტის თარგმნისას ლინგვისტები უპირატესობას სიტყვასიტყვითი თარგმანის მეთოდს ანიჭებენ.

14. ტექსტის ბოლო აბზაცში:

- (ა) მოყვანილია არგუმენტები წინა აბზაცში წარმოდგენილი მსჯელობის გასამყარებლად.
- (ბ) კრიტიკულად არის განხილული ტექსტში წარმოდგენილი მთავარი საკითხი.
- (გ) მოყვანილია მაგალითები წინა აბზაცში დასმული საკითხის საილუსტრაციოდ.
- (დ) წარმოდგენილია დასკვნა ტექსტის მთავარ საკითხთან დაკავშირებით.
- (ე) განხილულია ტექსტის ძირითად თემასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ახალი საკითხი.

ტექსტი №3

ცნობილი ფსიქოლოგი **ვიგოტსკი** ადამიანის კოგნიტურ განვითარებას, ძირითადად, ვერბალური უნარების ჩამოყალიბებას უკავშირებს. მისი აზრით, ლოგიკური აზროვნება ენობრივი განვითარების კვალდაკვალ ვითარდება.

ამ საკითხზე მსჯელობისას არსებითია გავარკვეოთ, თუ რა მიმართებაა ენასა და აზროვნებას შორის. ფსიქოლოგიაში ორი ურთიერთსაპირისპირო მიდგომის გამოყოფაა შესაძლებელი. პირველის თანახმად, აზროვნება სხვა არაფერია, თუ არა ინტერნალიზებული – გაშინაგნებული – მეტყველება, როგორც ამას ბიჰევიორისტების ნაწილი ვარაუდობდა. ენასა და აზროვნებას შორის მნიშვნელოვან კავშირს ხედავდნენ ლინგვისტებიც, **სეპირი** და **ჟორჟი**, რომლებიც ვარაუდობდნენ, რომ ენა სრულად განსაზღვრავს ჩვენს აზროვნებას.

მეორე მიდგომის თანახმად, ენა და აზროვნება დიდწილად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, რადგან არსებობს გარკვეული შინაარსები ან აზრები, რომელთა ვერბალიზებაც ადამიანს უჭირს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობენ. ამასთანავე, იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ ენა და აზროვნება ურთიერთგავლენას განიცდიან. მეტიც, მათ შორის უაღრესად მჭიდრო კავშირი არსებობს, თუმცა აზროვნება ენით სრულად მაინც არ არის დეტერმინირებული.

ვიგოტსკის აზრით, ბავშვის განვითარების საწყის ეტაპზე ენა და აზროვნება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ ენობრივი კომპეტენციის ზრდასთან ერთად, კულტურისა და სოციალური ინტერაქციის გავლენით, ისინი უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, სანამ რაღაც მომენტში არ გადაიკვეთებიან კიდევ.

ვიგოტსკის მიხედვით, ბავშვის ენობრივი განვითარება სამ სტადიას გადის. პირველი სტადია არის ე. წ. სოციალური მეტყველება, რომელიც ბავშვის განვითარების პირველ ორ წელს მოიცავს. ამ სტადიის დასაწყისი არავერბალურია, ეს არის ე. წ. აღუობის პერიოდი, რომლის დროსაც მიმიკა, ტირილი, ყვირილი გამოხატავს მარტივ გრძნობებსა და ისეთ მდგომარეობებს, როგორებიცაა შიმშილი, ბრაზი, კმაყოფილება. ამ სტადიის მხოლოდ გვიანდელ ეტაპზე იწყებს ბავშვი პირველი სიტყვების წარმოთქმას, რომლებიც „სოციალური მეტყველების“ საფუძველს წარმოადგენენ. ბავშვის მეტყველება მიმართულია სხვების ქცევის მართვაზე, მაგალითად, ბავშვი ამბობს: „ბურთი!“ და მოითხოვს, რომ გარშემომყოფებმა მას ბურთი მიაწოდონ. ამ სტადიაზე მისი აზროვნება ძირითადად არავერბალურია, თუმცა პირველი სიტყვების გაჩენასთან ერთად იწყება აზროვნებისა და ენის დაახლოება.

3-სა და 7 წელს შორის ბავშვის მეტყველება ეგოცენტრულია. ამ სტადიაზე ის ხშირად თავის თავს ელაპარაკება, თითქოს ცდილობს საკუთარი ქცევის მართვას. ასაკის მატებასთან ერთად ბავშვის აზროვნება სულ უფრო სისტემური ხდება. შეიძლება ბავშვი ჯერ ვერ წყვეტს მის წინაშე დასმულ პრობლემებს, მაგრამ მის ქცევაში უკვე შეინიშნება პრობლემების გადაჭრისაკენ გადადგმული თანამიმდევრული ნაბიჯები.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

განვითარების მესამე სტადიას ახასიათებს შინაგანი მეტყველება, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ ბავშვმა მართოს საკუთარი ქცევა და აზროვნება. შინაგანი მეტყველება, ფაქტობრივად, უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების გასაღებს წარმოადგენს. ვიგოტსკის ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ამ სტადიაზე ბავშვის აზროვნება ხარისხობრივად იცვლება, მის ცდისპირებს უკვე შეეძლოთ ობიექტების არსებითი თვისებების გამოყოფა, კატეგორიზაცია და აბსტრაჰირება.

ამრიგად, მეტყველება, რომლის ფუნქცია თავიდან ბავშვის ინტერაქციაში ჩართვა იყო, ნელ-ნელა გადაიქცა მისი ქცევის რეგულირების საშუალებად და შემდეგ, შინაგანი მეტყველების ფორმით, ბავშვის აზროვნების მართვის ინსტრუმენტად.

ვიგოტსკი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დასწავლის პროცესზე. მისი აზრით, ბავშვის განვითარება დამოკიდებულია სოციალურ ინტერაქციაზე, რომელიც დასწავლის პროცესს განაპირობებს. გარემოსთან ურთიერთობის პროცესში ის მუდმივად გარკვეული ამოცანების გადაჭრის წინაშე დგას. ზოგ ამოცანასთან ბავშვს დამოუკიდებლად შეუძლია გამკლავება, სხვა ამოცანების გადასაჭრელად ის დახმარებას საჭიროებს. არსებობს, ასევე, ამოცანათა მთელი რიგი, რომელთა გადაჭრა ბავშვს ზრდასრულების დახმარებითაც კი არ შეუძლია. ბავშვის განვითარების შეფასებისას ვიგოტსკი სწორედ ამ ამოცანათა სირთულეზე ამახვილებდა ყურადღებას და ერთმანეთისაგან განასხვავებდა ბავშვის განვითარების აქტუალურ და უახლოეს ზონებს. განვითარების აქტუალური ზონა არის ბავშვის „ამჟამად“ არსებული განვითარების დონე, რომლის ფარგლებშიც ბავშვს შეუძლია გარკვეული სირთულის ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა. ეს ამოცანები სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს; მაგალითად, სამი წლის ბავშვს შეუძლია ბურთის დაჭერა და საგნების ფერების დასახელება. განვითარების უახლოესი ზონა არის ამოცანათა და დავალებათა ის წრე, რომელთა გადაჭრა ბავშვს თანატოლებისა თუ მასწავლებლის დახმარებით შეუძლია. განვითარების უახლოესი ზონა გვიჩვენებს ბავშვის განვითარების პოტენციალს, თუ რისი დაუფლება შეუძლია მას უახლოეს მომავალში.

ვიგოტსკის მიხედვით, მშობლებისა და მასწავლებლების მიზანია, ბავშვს ისეთი სირთულის ამოცანები დაუსახონ და ისეთი აქტივობების შესრულებისკენ უბიძგონ, რომლებიც, ერთი მხრივ, იმდენად მარტივი არ არის, რომ ბავშვმა ისინი სწრაფად და იოლად შეასრულოს და, მეორე მხრივ, არც ისეთი რთულია, რომ ბავშვმა ისინი უფროსთა თუ თანატოლთა დახმარებითაც კი ვერ დაძლიოს. სწავლების მიზანია, რომ ის, რაც მოსწავლეს მასწავლებლის დახმარებით შეუძლია გააკეთოს, მალევე თავად, დამოუკიდებლად განახორციელოს. ბავშვებისათვის ისეთი დავალებების შერჩევის მეთოდს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის პოტენციალის განვითარებას, ხარაჩოს პრინციპს უწოდებენ. „ხარაჩოები“ ეხმარება ბავშვს განვითარების აქტუალური ზონიდან გადავიდეს განვითარების უახლოეს ზონაში და გაითავისოს ის.

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების თეორიის მიმოხილვის ფონზე გამოკვეთოს ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხი ფსიქოლოგიაში.
- (ბ) გაგვაცნოს ფსიქოლოგიაში არსებული განსხვავებული მიდგომები ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების შესახებ.
- (გ) გამოკვეთოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს კულტურასა და სოციალურ ინტერაქციას ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების თეორიაში.
- (დ) გააანალიზოს ბავშვის ენობრივი განვითარების სტადიები ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით.
- (ე) გაგვაცნოს ვიგოტსკის მოსაზრებები ბავშვის კოგნიტური განვითარებისა და დასწავლის პროცესის შესახებ.

16. ენასა და აზროვნებასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელს იზიარებს ვიგოტსკი?

- I. აზროვნება იგივეა, რაც ინტერნალიზებული მეტყველება.
- II. ენა სრულად განსაზღვრავს აზროვნებას.
- III. ენა და აზროვნება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, თუმცა მჭიდრო ურთიერთგავლენას განიცდიან.
- IV. ენა და აზროვნება დიდწილად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პროცესებია.

- (ა) მხოლოდ I-ს.
- (ბ) მხოლოდ I-სა და II-ს.
- (გ) მხოლოდ II-ს.
- (დ) მხოლოდ III-ს.
- (ე) მხოლოდ IV-ს.

17. საშუალო მოსწრებისა და უნარების 7 წლის ორ მოსწავლეს დამოუკიდებლად დაახლოებით ერთნაირი სირთულის ამოცანების ამოხსნა შეუძლიათ. მასწავლებლის დახმარებით კი ერთ მათგანს ცხრა წლის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ამოცანების დაძლევა შეუძლია, ხოლო მეორეს – რვა წლის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ამოცანებისა.

ეს მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ:

- (ა) ამ მოსწავლეებს განვითარების განსხვავებული აქტუალური და უახლოესი ზონები აქვთ.
- (ბ) პირველი მოსწავლის განვითარების უახლოესი ზონა უფრო ფართოა, ვიდრე მეორე მოსწავლისა.
- (გ) მეორე მოსწავლის განვითარების პოტენციალი პირველი მოსწავლის პოტენციალზე უფრო მეტია.
- (დ) ამ მოსწავლეებს განვითარების ერთნაირი აქტუალური და უახლოესი ზონები აქვთ.
- (ე) ამ მოსწავლეებს განვითარების უახლოესი ზონა ერთნაირი აქვთ, აქტუალური ზონა კი – განსხვავებული.

18. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მართებული?

- (ა) აზროვნება და ენა ბავშვის განვითარების საწყის ეტაპზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია.
- (ბ) ეგოცენტრული მეტყველების მიზანია როგორც საკუთარი, ისე სხვების ქცევის მართვა.
- (გ) ენა ბავშვის განვითარების პირველ ეტაპზე გარემოცვასთან სოციალიზაციის საშუალებაა, ხოლო შემდგომში ის აზროვნების საშუალებად იქცევა.
- (დ) ჩვილის ინტერაქცია გარემოსთან არავერბალურია, განვითარებასთან ერთად კი აზროვნება და ენა ერთმანეთს უახლოვდება.
- (ე) აზროვნების ხარისხობრივი ცვლილება – არსებითი თვისებების გამოყოფა, კატეგორიზაცია, აბსტრაქტირება – შინაგანი მეტყველების სტადიას უკავშირდება.

19. რაში მდგომარეობს ხარაჩოს პრინციპის არსი?

- (ა) ხარაჩოს პრინციპი გულისხმობს ბავშვის მიერ დავალებების გადაჭრას სხვების დახმარებით, რათა მან მალევე დამოუკიდებლად გააკეთოს იგივე.
- (ბ) ხარაჩოს პრინციპი სწავლა-სწავლების მეთოდია, რომლის მიხედვით მასწავლებლები თანხმდებიან, თუ რა უნდა ისწავლოს მოსწავლემ წარმატების მისაღწევად.
- (გ) ხარაჩოს პრინციპის მიხედვით, მასწავლებლის ამოცანაა ბავშვს მხოლოდ ასაკის შესაბამისი, დამოუკიდებლად დასაძლევი ამოცანები შესთავაზოს.
- (დ) ხარაჩოს პრინციპი სწავლა-სწავლების ინტერაქტიული მეთოდია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც მასწავლებლები, ისე მშობლები.
- (ე) ხარაჩოს პრინციპის მიხედვით, განვითარების როგორც აქტუალურ, ისე უახლოეს ზონაში ბავშვი ამოცანებს მხოლოდ კომპეტენტური პირების დახმარებით ჭრის.

20. ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ვიგოტსკის მიხედვით, ენის ათვისებასა და კოგნიტურ განვითარებას ბიძგს აძლევს სოციალური ინტერაქცია.
- (ბ) ვიგოტსკი თავის მოსაზრებებს ექსპერიმენტული კვლევის მონაცემებით ამყარებდა.
- (გ) ვიგოტსკის მიხედვით, ენობრივი განვითარების სტადიები აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპს უკავშირდება.
- (დ) ვიგოტსკის მიხედვით, მეტყველების ფუნქცია კოგნიტური განვითარების სტადიების მიხედვით იცვლება.
- (ე) ვიგოტსკის მიხედვით, აზროვნებისა და ენის დაახლოება ბავშვის ენობრივი განვითარების მეორე სტადიის დადგომის შემდეგ იწყება.

21. ტექსტის ბოლო აბზაცში:

- (ა) განხილულია წინა აბზაცში წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებული ახალი თემა.
- (ბ) შეჯამებულია ტექსტში განხილული ძირითადი საკითხი.
- (გ) მოცემულია ტექსტში განხილული ძირითადი საკითხის შეფასება.
- (დ) წარმოდგენილია მაგალითები წინა აბზაცში დასმულ საკითხთან დაკავშირებით.
- (ე) მოყვანილია არგუმენტები წინა აბზაცში დასმული საკითხის დასასაბუთებლად.

ტესტის დასასრული

ტესტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტესტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტესტი №3	15	16	17	18	19	20	21
----------	---	---	---	---	---	---	---	----------	---	---	----	----	----	----	----	----------	----	----	----	----	----	----	----